პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

1974 წ. № 189 (5219) 24 სექტემბერი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

წაიკითხეთ:

„ასეა თუ ისე, უტყუარი ფაქტი გახლავთ: ლენტებს რაოდენობით ბევრი ... ალიზარდა“. — მე-2 გვ.

„ისე კი, კაცმა რომ თქვას, სსრ კავშირის ნაკრების ყველა ჰოკეისტი „ნეკერჩხლის ფოთლებთან“ დაძაბული, მაგრამ უაღრესად საინტერესო მატჩების ეზოში შევიდა“. — მე-3 გვ.

„ნ. გაფრინდაშვილმა გადადო პარტია კ. ვრეკენთან, ხოლო ე. ბელმა დაამარცხა ნ. ალექსანდრია“. — მე-4 გვ.

მათი შრომა ღირსეულად დაფასდა

ბაკურიანში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში ნაყოფიერი მუშაობისთვის დაჯილდოვდნენ:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის **საპატიო სიგელებით:**

საქართველოს სპორტკომიტეტის მუშაკთა კოლექტივი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი,
ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის № ნაწილი,
საქართველოს სპორტკომიტეტის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშაკთა კოლექტივი,
„კავკაზელექტროქსელმშენის“ ტრესტის მუშაკთა კოლექტივი,
აგრეთვე, 35 კაცი,
ნიშნით **„ფიზიკური კულტურის წარჩინებული“** — 21 კაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის **საპატიო სიგელებით:**

ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან არსებული მწვრთნელთა სკოლა,
რესპუბლიკური საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერი,
საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მოდელების სახლი,
თბილისის უმაღლესი საარტილერიო სასწავლებელი,
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის ორკესტრი,
ქალაქის საბჭოს კეთილმოწყობის სამმართველო — ქალაქგაფორმება,
საქართველოს საქალაქო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტი,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლი,
უნივერსიტეტის საესტრადო ანსამბლი,
პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლი,
საესტრადო ანსამბლი „ბორჯომი“,
გეოლოგიური სამმართველოს პიონერთა ბანაკი ბაკურიანში,
სათხილამურო ბაზა „ბურევესტნიკი“,
სათხილამურო ბაზა „დინამო“,
სასტუმრო „ბაკურიანი“,
ბაკურიანის საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკი — „მზიური ველი“,
თბილისის აეროფლოტის ცენტრალური სააგენტოს მუშაკთა კოლექტივი,
აგრეთვე, 53 კაცი,
სიგელებით — 127 კაცი.

მსოფლიო რეკორდით დაიწყეს

ფილიპინების დედაქალაქი მანილა ძალოსანთა XXVIII მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს მასპინძლობს. ასპარეზობს 38 ქვეყნის 100-ზე მეტი ათლეტი.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფ. მარკოსმა მონაწილეებს შეჯიბრების დაწყება მიულოცა და რეკორდების დამყარება უსურვა.

და აი, უკვე პირველივე წონაში — უმჩატესში — პირველი მსოფლიო რეკორდი იშვა. ეს გააკეთა იაპონელმა ტ. ხორიკოსიმ. „რისალ მემორიალ კოლიზეუმის“ დარბაზში მოსული მაყურებელი მხურვალედ მიესალმა იაპონელ ძალოსანს, რომელიც მანამდე თუმცა კი იყო მსოფლიო რეკორდსმენთა სიაში, მაგრამ უძლიერესთა ათეულშიც კი ვერ შედიოდა. ხორიკოსიმ ატაცში დამატებით, მეოთხე ცდაზე 106,5 კგ დაიმორჩილა, რაც 0,5 კილოგრამით მეტია წინანდელ მსოფლიო რეკორდზე.

ამ მოძრაობაში გაიმარჯვა უნგრელმა კ. კოოსეგიმ — 105 კგ. აკვრაში ტოლი არ ჰყავდა ირანელ მ. ნასირის. მისი შედეგია 132,5 კგ. ნასირიმ შემდეგ ამაოდ სცადა მსოფლიო რეკორდის დამყარება.

ორჭიდის ჯამში 232,5 კგ-ის დაგროვებით ნასირი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. II ადგილზე გავიდა კიოსეგი — 230, III — ხორიკოსი — 227,5.

შეჯიბრების მეორე დღეს, კვირას, მჩატე წონის ათლეტები ასპარეზობდნენ. უძლიერესი აღმოჩნდა ბულგარელი ა. კიროვი — 255 კგ. II ადგილზე გავიდა პოლონელი ლ. სკორუპა — 250, III — იაპონელი ს. ხოსატანი — 245.

ატაცში მცირე ოქროს მედალი მოიხვეჭა პოლონელმა (112,5), აკვრაში — იაპონელმა (147,5).

მჩატე და უმჩატეს წონებში საბჭოთა ათლეტები არ მონაწილეობდნენ. ისინი ასპარეზობას დაიწყებენ ქვემსუბუქ წონაში, სადაც საბჭოთა ქვეყნის ღირსებას დაიცავს ასეთ შეჯიბრებათა დებიუტანტი, როსტოველი ნ. კოლესნიკოვი.

ნაკრები ემზადება

— ირლანდიის ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ ჩვენი მთავარი ამოცანაა თამაშის გაუმჯობესება და პოტენციალის მატება, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა. — ამიტომ გადავწყვიტეთ კვლავ შევკრიბოთ ჩვენი მოწინავე ფეხბურთელები და სექტემბრის დამლევს პოლანდიასა და იტალიაში ჩავატაროთ ორი ამხანაგური მატჩი. უცხოეთში გუნდი კიეველთა გარეშე (ბლოხინის გარდა) გაემგზავრება: „დინამოს“ ხელმძღვანელობამ გვთხოვა მათი გათავისუფლება 2 ოქტომბრის მატჩისთვის (თასების მფლობელთა თასზე).

უფროსმა მწვრთნელმა ტურნეში გასამგზავრებელი ნაკრების 17 კანდიდატი დაასახელა. ესენი არიან: მეკარეები ვ. პილგუი (მოსკოვის „დინამო“), ლ. კოლტუნი („დნეპრი“); მცველები რ. ძოძუაშვილი (თბილისის „დინამო“), ს. ოლშანსკი („სპარტაკი“), ვ. ლეშჩუკი („ჩერნომორეცი“), ს. ნიკულინი (მოსკოვის „დინამო“), ნ. ხუდიევი, ვ. ბუტურლაკინი (ორივე — მოსკოვის „ტორპედო“), ვ. ლოსევი („კრილია სოვეტოვი“); ნახევარმცველები მ. მაჩაიძე (თბილისის „დინამო“), მ. ანი („ფახთაქორი“), ვ. ფედოტოვი (ცსკა), ა. ანდრეასიანი („არარატი“); თავდამსხმელები ო. ბლოხინი (კიევის „დინამო“), ვ. ხაძიპანაგისი, ვ. ფიოდოროვი (ორივე — „ფახთაქორი“), ვ. პავლენკო (მოსკოვის „დინამო“).

ბესკოვმა თქვა, რომ ირლანდიელებთან ოფიციალურ შეხვედრამდე სსრ კავშირის ნაკრები კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავს — 16 ოქტომბერს თავის მინდორზე ეთამაშება ბულგარელებს. (საკდესი).

ჭადრაკი

კიდევ 6 სანტიმეტრით!

სოჭში გაიმართა სსრ კავშირისა და ფინეთის მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. თბილისის დინამოელმა ჯ. ფხაკაძემ ერთს ტყორცნაში კვლავ გამოიჩინა თავი — 6 სანტიმეტრით გააუმჯობესა ამას წინათ ბერლინში დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი — 74,44 მ (და არა 74,33 მ). ფხაკაძემ სოჭშიც I ადგილი დაიკავა. თბილისელი სპორტსმენის მაჩვენებელი (74,50 მ) წლეულს ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

რაც შეეხება სსრ კავშირისა და ფინეთის ნაკრები გუნდების ტურნირს, იგი მასპინძელთა წარმატებით დამთავრდა: ქალთა გუნდების შეხვედრას ანგარიშია 82:61, ხოლო ვაჟთა კოლექტივებისა — 240:168. ფინეთის ... კომიტეტის თავმჯდომარემ ს. უუნილამ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში დიდი კმაყოფილება გამოთქვა შეჯიბრების ორგანიზაციის, შედეგების და, საერთოდ, იქ შექმნილი მეგობრული ატმოსფეროს გამო.

ჩიჟოვას მიღწევა დაამხო

გოტვალდოვი, 22 სექტემბერი. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში დღეს ბრწყინვალედ იასპარეზა ჰელენა ფიბინგეროვამ, რომელმაც ბირთვის კვრაში 12 სანტიმეტრით გააუმჯობესა მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, ლენინგრადელი მძლეოსნის ნ. ჩიჟოვას მსოფლიო რეკორდი. ფიბინგეროვას შედეგია 21,57 მ.

• • •

სურათზე: სახელგანთქმული ჩეხოსლოვაკიელი მძლეოსანი ჰ. ფიბინგეროვა ასპარეზობის დროს.



სასი ... -74

● **ჩიმკენტი, 21 სექტემბერი.** დღეს აქ დამთავრდა რუსულ შაშში სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა მინსკელმა ექიმმა ლ. ილინამ, რომელმაც 11,5 ქულა მოაგროვა 15-დან.

● **ტუნი, 22 სექტემბერი.** ტყვიის სროლაში აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს. პნევმატური პისტოლეტის ოსტატთა შეჯიბრებაში ყველაზე ზუსტი აღმოჩნდა ერევნელი ზინაიდა სიმონიანი — 388 ქულა. ჩემპიონს 2 ქულით ჩამორჩა კიეველი ნ. სტოლიაროვა, რომელსაც ბრინჯაოს მედალი ერგო. ამ სახეობაში საბჭოთა მსროლელმა ქალებმა გუნდური პირველობაც მოიგეს. მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, მოსკოველმა გ. კოსიხმა წარმატებით აითვისა მისთვის ახალი იარაღი — პნევმატური პისტოლეტი. ამ სახეობაში მას ბადალი არ ჰყავდა, 389 ქულა დააგროვა. კიდევ ერთ წარმატებას მიაღწიეს სსრ კავშირის სპორტსმენებმა „გაქცეულ ტახზე“ სროლაში. გამარჯვებული საბჭოთა ნაკრების შედეგია 1527 ქულა.

„მეტალურგი“ — ნახევარფინალში

21 სექტემბერს რუსთავში უნდა შემდგარიყო ფიზკულტურის კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი ადგილობრივ „მეტალურგსა“ და მინერალური წყლების „ლოკომოტივს“ შორის.

ლოკომოტიველები ამ მატჩზე არ ჩამოვიდნენ, რისთვისაც მათ წაგება ჩაეთვალათ. რუსთავის „მეტალურგი“ თასის ნახევარფინალში გავიდა.

ფინალში ინდოელი ჩოგბურთელები გავიდნენ

პუნა, 22 სექტემბერი. ინდოეთის ჩოგბურთელები, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრებთან აქ გამართულ მატჩში ანგარიშით 3:1 დაწინაურდნენ, დევისის თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ.

შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ, როგორც ცნობილია, ანგარიში საყაიმო იყო — 1:1. შემდეგ ძმებმა ვ. და ა. ამრიტრაჯებმა შეძლეს წინადღით გადადებული წყვილთა შეხვედრის მოგება — ანგარიშით 13:15, 7:5, 19:17, 6:3 დაამარცხეს თბილისელი თ. მეტრეველი და მოსკოველი ვ. კოროტკოვი. მერე ანანდ ამრიტრაჯმა გადამწყვეტი ქულა მოუტანა თავის გუნდს, როცა თბილისელ თ. კაკულიას აჯობა — 6:2, 8:10, 4:6, 6:3, 6:3.

ამრიგად, გუნდების ლიდერების ვიჯაი ამრიტრაჯისა და მეტრეველის შეხვედრის შედეგი ფინალის საგზურის მისამართს ველარ შეცვლიდა. და მაინც, ბრძოლა არაჩვეულებრივად საინტერესო და წარმტაცი გამოდგა. პრესამ ისიც კი დაწერა, ვინც მეტრეველის თამაში ნახა, ბედნიერი ადამიანიაო.

მეტრეველ — ამრიტრაჯის მატჩი ოთხი პარტიის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა ცუდი განათების გამო, ჯერჯერობით კი ანგარიშია 2:6, 6:4, 6:2, 1:6.

ROMA '74

ყველა გზა რომში მიდის

ტივოლელი მეგობრები

რაკი სიტყვა ტივოლიზე ჩამოვარდა, ბარემ ვიტყვი: ადრიანოს ტივოლიზე არანაკლებ საინტერესოა ახალი ტივოლი, რომელიც მთის ტერასებზეა შეფენილი და შორიდან ერთი მთლიანი უზარმაზარი ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ქალაქში შესვლისთანავე აივანზე ეროვნული დროშები, გირლიანდები და ტრანსპარანტები დავინახეთ — ტივოლი რაღაცას ზეიმობდა. თურმე იტალიაში ყველა ქალაქს თავისი დღესასწაული აქვს. ტივოლის დღესასწაული სწორედ ჩვენი სტუმრობის დღეს დაემთხვა.

ახალ ტივოლიში უპირველეს ყურადღებას საყურადღებოა კარდინალთა შთამომავალ დ'ესტეს ვილა, რომლის მშენებლობა 1550 წელს დაუმთავრებიათ. დ'ესტე რელიგიური კაცი როდი ყოფილა, ამიტომაც არსებული მონასტერი დაუნგრევია და მის ადგილზე უზარმაზარი შენობა (ამჟამად მუზეუმია) და ასობით შადრევნით დამშვენებული უშესანიშნავესი პარკი მოუწყვია.

ტივოლიმ ჩვენზე შთაბეჭდილება იმიტაც მოახდინა, რომ აქ საბჭოთა კავშირისადმი მეგობრულად განწყობილ ბევრ ოჯახს შევხვდით. ერთი მათგანი სწორედ დ'ესტეს ვილასთან გავიცანით.

წინ საქორწინო ტანსაცმელში გამოწყობილი 8 წლის გოგონა და 11 წლის ბიჭუნა შემოგვეყარნენ. დავინტერესდით, რას ნიშნავდა მათი ასეთი მორთულობა. მშობლებმა გვითხრეს: ჩვენში ასეთი წესია, საქორწინო ცერემონიალს ბავშვებს პატარაობიდანვე ვაჩვევთო.

ჩვენი ვინაობა როკა შეიტყვეს, სიამოვნებით გაგვიბეს ბაასი თავიანთი ქვეყნის ადათ-წესებზე, მშვიდობასა და მეგობრობაზე, ეკონომიურ საკითხებზე...

რომში ნაშუადღევს დავბრუნდით. ცხელა, მანქანები დგანან. ადამიანებს აქა-იქ თუ შენიშნავთ, თავი ყველას სიგრილისთვის შეუფარებია — 13-დან 15 საათამდე ქალაქში ყველა დაწესებულება იკეტება (თერმომეტრი იმ დღეებში 24-26 გრადუსს არ აშორებია, მაგრამ ამ ნახევარკუნძულზე მაღალი ტენიანობის გამო სიცხე განსაკუთრებით საგრძნობია).

...ჩემპიონატის მეორე დღეს, 3 სექტემბერს, დილით სტადიონზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, საღამოს კი მედლები ხუთ სახეობაში ელოდნენ მფლობელებს. ამიტომ დილიდან ისევ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს მივაშურეთ. გვირჩიეს „ვილა ბორგეზეს" უნახავად არ დავრჩენილიყავით.

და აი, ამ პარკსაც მივაღწიეთ. მისი ვრცელი ტერიტორიის სიღრმეში სამხატვრულიანი შენობისკენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ტურისტთა ნაკადი მოედინებოდა. ეს საგამოფენო დარბაზი კარდინალ სკიპონე ბორგეზეს 1616 წელს აუშენებია, მერე მას და მის შთამომავალთ აქ ფერწერისა და ქანდაკების საუკეთესო ნიმუშებისთვის მოუყრიათ თავი. აქ ნახავთ გამოჩენილ მოქანდაკეებსა და მხატვრებს ბერნინის, ბოტიჩელის, რაფაელს, სადომას, ტიციანს, კარავაჯოს, რუბენსს, დელ სარტოს...

მერე სტადიონისკენ გავეშურეთ. საუბარი ჩემპიონატის მეორე დღის ფინალურ შეხვედრებზე გვაბაბით. ჩვენში ალტაცებას იწვევდა იტალიელ გულშემატკივართა განცდები, რომლის მსგავსი თბილისში მაშინაც კი არ გვინახავს, როცა მათი საყვარელი „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი მრისხანე მეტოქეებს ბრწყინვალე თამაშით ამარცხებდა (მძლეოსნობაზე ხომ მაყურებელი საერთოდ არ დადის!).

3 სექტემბერს მედლების ხუთი კომპლექტი დარიგდა: 100 მეტრზე რბენაში, 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში, ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში, შუბის ტყორცნაში.

სიგრძეზე ხტომაში უნგრელი ი. ბრუჟენიაკი, რომელსაც 24 წელი 10 დღის მერე უსრულდებოდა, მეხუთე ცდაზე 665 სანტიმეტრზე გადახტა და 5 სანტიმეტრით აჯობა უფრო სტაბილურად მოასპარეზე ე. შურანოვას (ჩეხოსლოვაკია). საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ლ. ალფეევა — 654 სმ.

შუბის ტყორცნაში რ. ფუქსმა (გდრ) მეორე ცდაზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 67,22 მ. ტ. ჟიგალოვა (სსრ კავშირი) აშკარად თავის შესაძლებლობაზე ცუდად გამოვიდა (56,64) და VII ადგილს დასჯერდა.

მაგრამ მთავარი ამბები მაინც სპრინტში და 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში მოხდა. იტალიის გაზეთები, რომლებიც დღენიადაგ ისედაც ტემპერამენტიანი თანამემამულეების გახურებას ცდილობენ, იმ დღის ნომრებში მკითხველებს მოუთხრობდნენ მენეასა და ბორზოვის მომავალ ბრძოლის სიმწვავეზე. წერილებს ასეთი სათაურები ჰქონდა: „ბორზოვი თუ მენეა?", „პრიმა, ბორზოვ!", „პიეტრო მენეა ოქროს უმიზნებს"...

ფინალამდე საათნახევრით ადრე გამართულ ნახევარფინალში ბორზოვმა თავისი გარბენი მოიგო — 10,39, მაგრამ მეორე ნახევარფინალში სამმა სპორტსმენმა — დ. შაველომ (10,28), მენეამ (10,29) და ი. სილოვმა (10,36) უკეთესი შედეგები აჩვენეს, ამიტომ ბორზოვის გამარჯვებაში ზოგიერთს ეჭვი შეეპარა. იტალიელები აღარ მალავდნენ. ახლა მთავარია მენეა ბორზოვს არ შეუშინდეს, თორემ შაველოსა და სილოვს იოლად გაუსწორდებაო.

ტრიბუნა, სადაც სამფეროვანი დროშების ტყე იყო, მიდუღარ ქვაბს ჰგავდა. გადამწყვეტი სტარტის მოლოდინში მენეა ალბათ ისე არ ნერვიულობდა, როგორც მისი ათიათასობით გულშემატკივარი.

ამ გაუთავებელმა ღრიანცელმა, სტვენამ, ღოროტოტოებისა და ბუკ-ნაღარის „მელოდიებმა" ზენიტს მიაღწია, როცა ვაჟები ფინალური გარბენის სტარტზე გამოვიდნენ: „ვივა, მენეა!", „პიეტრო, პიეტრო!" გუგუნებდა სტადიონის უზარმაზარი ოვალი. იტალიელებმა სხვა ქვეყნების ტურისტებიც აიყოლიეს!

სპორტსმენებმა სატერფულების მორგება დაიწყეს. მსაჯები ადგილებზე განლაგდნენ. სტადიონზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სასტარტო პისტოლეტის ხმა ზარბაზნის ქუხილივით გაისმა. სტადიონი ისევ აგუგუნდა, ხოლო როცა ბორზოვმა (10,27) მენეას (10,34) ფინიშზე ოდნავ მიასწრო, ერთბაშად აჩოიგვინა და თანდათან დაწყნარდა.

ცხადია, წაგებამ მენეას გული დაწყვიტა, მაგრამ სპორტსმენის ვალი როდი დავიწყებია — ჩემპიონობა ბორზოვს პირველმა მიულოცა.

...როცა სტადიონის ერთ ტაბლოზე სპრინტში ასპარეზობის შედეგები ქვეყნდებოდა, მეორე ტაბლო იტყობინებოდა:

20 კილომეტრზე სპორტული სიარული. 10 კილომეტრის შემდეგ ლიდერობენ:

№ 831 ვლადიმერ გოლუბნიჩი (სსრკ) 45.04,0.

№ 253 ჟერარ ლელიევრე (საფრ.) 45.04,0.

№ 471 ბერნდ კანენბერგი (გფრ) 45.04,2.

№ 421 კარლ შტატმიულერი (გდრ) 45.04,2 და ა. შ.

რომის ქუჩებში ორ დღეში 40 კილომეტრი ფეხით ალბათ ბევრ როდის კი არ გაუვლია (ქალაქში ფეხით მოსიარულეებს იშვიათად ნახავთ), გოლუბნიჩი კი ამ ქალაქში სულ ორჯერ იყო და 40 კილომეტრი მარტო ორ ასპარეზობაში დაფარა. პირველად XVII ოლიმპიურ თამაშებში გამოიჩინა თავი, როცა „სტადიო ოლიმპიკოდან" გამოსულ სპორტული სიარულის ოსტატთა ქარავანს სათავეში ჩაუდგა და ფინიშთანაც პირველი მივიდა—1:34.07,2, მეორედ კი ახლა — ევროპის ჩემპიონატში გაიმარჯვა — 1:29.30,0.

ორი დღის მერე არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა მძლეოსნები დაწინაურდნენ, მესამე დღემ კი მათ ახალი წარმატება მოუტანა: პროგრამის 9 სახეობიდან მათ კიდევ 2 ოქროს მედალი მოიპოვეს. გდრ-ის მძლეოსნებმა კი ვერც ერთი ჯილდო ვერ მოიგეს და უმაღლესი ხარისხის ნადავლის შეფარდებამ ასეთი სურათი მოგვცა — 5:2 სსრ კავშირის სპორტსმენთა სასარგებლოდ.

რაშია საქმე, ნუთუ გდრ-ის ნაკრების რეგრესი დაიწყო?

ასეთი დასკვნა ნაადრევი იქნებოდა, ვინაიდან უკვე იმ დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს ცუდი მოსავალი როდი ჰქონდა — ქალებმა მდგომარეობა ერთგვარად გამოასწორეს, სამივე სახეობაში ვერცხლის მედლები მიიღეს. 400 მეტრზე რბენაში ე. შტრაიდტს თავი არ დაუზოგავს, თავისი ქვეყნის რეკორდიც (50,69) კი დაამყარა, მაგრამ ჰელსინკელ რ. სელინს (50,14) მაინც ჩამორჩა. სხვათა შორის, ამ მანძილზე მოასპარეზე რვა ფინალისტიდან ხუთმა ეროვნული რეკორდი გააუმჯობესა, მათ შორის 25 წლის მოსკოველმა ნ. ილინამაც (51,22), რომელმაც IV ადგილი დაიკავა.

გდრ-ის რეკორდი დაამყარა 30 წლის გ. ჰოფმაისტერმაც, რომელიც 800 მეტრზე რბენაში 600 მეტრს ლიდერობდა. ბოლო 200 მეტრზე მას გაასწრო პლოვდიველმა ლ. ტომოვამ და მრისხანე მეტოქე 0,7 წამით ჩამოიტოვა. ბულგარელის შედეგია 1.58,1.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსნებს ხუთჭიდში I ადგილის იმედი ჰქონდათ, მაგრამ 22 წლის ბ. პოლაკი იძულებული გახდა საბოლოოდ II ადგილით დაკმაყოფილებულიყო: კიეველ ნ. ტკაჩენკოს, რომელმაც სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა (4776 ქულა), იგი 100 ქულით ჩამორჩა.

იმ დღეს „სტადიო ოლიმპიკოზე" მოსული მრავალრიცხოვანი მაყურებელი სხვა მოულოდნელობათა მოწმეც იყო. ჯერ იყო და, ფინელმა რ. კაჰმამ, რომელიც მხოლოდ 188 სანტიმეტრია და 110 კილოგრამს იწონის, ბოლო ცდაზე ბადრო 63,62 მეტრზე ტყორცნა და მასზე უფრო მაღალი, მძიმე და ტიტულიანი მეტოქეები ლ. დანეკი (ჩეხოსლოვაკია, 62,76), რ. ბრუხი (შვეცია, 62,00) და ზ. პაჰალა (გდრ, 61,20) დაამარცხა. მერე 800 მეტრზე რბენაში იუგოსლაველმა ლ. სუშანმა, რომელსაც წინასწარ გარბენში მეცამეტე, ხოლო ნახევარფინალურში მეორე შედეგი ჰქონდა, ფინალში ყველას აჯობა. დამარცხებულთა შორის იყო მთავარი ფავორიტი, იტალიელი მ. ფიასკონაროც, რომელიც სუშანს საგრძნობლად ჩამორჩა. ვერცხლის პრიზიორს, ინგლისელ ს. ოვეტს სუშანმა ფინიშთან 1,7 წამით მიასწრო.

ფინალი იტალიელთა კერპის ფიასკონაროსთვის [illegible] გამოდგა. ეს გამოცდილი მორბენალი ჩემპიონატის [illegible] დროს ალღუმში არ მონაწილეობდა, ტრიბუნაზე ჩვენს წინ ქალიშვილებში იჯდა და ნაყინს არხეინად შეექცეოდა. მარჩელო კარგ ხასიათზე იყო, ამბობდა, სარბენი ბილიკიდან ხელცარიელი არ წავალო.

პირობა კინაღამ შეასრულა კიდეც: ისე სწრაფად გაიქცა, რომ პირველი წრე 50,1 წამში დაფარა. ევროპის არც ერთ ჩემპიონატს არ ახსოვს ასეთი სწრაფი დასაწყისი. კონტინენტის რეკორდი თითქოს გარდუვალი იყო, იტალიელი გულშემატკივრები თანამემამულეს ყურთასმენის წამღები შეძახილებით ამხნევებდნენ, მაგრამ, როცა ოქროს მედლამდე 200 მეტრი იყო, ფიასკონარომ ტემპს უკლო და მას ჯერ სუშანმა გაასწრო, მერე ოვეტმა, ფინელმა მ. ტასკინენმა და ფინიშთან — როსტოველმა ვ. პონომარიოვმაც.

ო. გელაშვილი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

რომი — თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

• • •

სურათებზე: ჩემპიონატში ქალთა სპრინტი პოლონელი ი. შევინსკას აშკარა უპირატესობით ელინიშნა. მას თქვენ მარცხენა სურათზე პირველ ბილიკზე ხედავთ; 20 კილომეტრზე სპორტული სიარულის მონაწილეთა პირველი ნაბიჯები.

ავტორის ფოტოები.

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 187, 188.



„სპორტლოტო" ინჟინრის ილებს

საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს გეოლოგიური რაზმის უფროსმა, ინჟინერ-გეოლოგმა ამირან ქართველიშვილმა „სპორტლოტო-2"-ის 25-ე ტირაჟში 6 ციფრი იუბილიანად გადახაზა და 5000 მანეთი მოიგო.

ა. ქართველიშვილი სპორტულ ლატარიაში პირველივე ტირაჟებიდან მონაწილეობს და აქამდე გამოცნობილი ჰქონდა სპორტის 4-4 და 3-3 სახეობა. შეკითხვაზე, თუ როგორ შეძლო ექვსი ნომრის გამოცნობა და საერთოდ რა აზრისაა „სპორტლოტოზე", მან გვიპასუხა: „სპორტლოტოს" პირველივე ტირაჟებიდან სისტემატურად ვთამაშობ და განსაკუთრებით გამეხარდა, როცა სპორტული ლატარია ჩვენს რესპუბლიკაში გავრცელდა.

ჩემი აზრით, სხვა ლატარიებს შორის „სპორტლოტო" ყველაზე მეტი პოპულარობით იმიტომ სარგებლობს, რომ ამ სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი სპორტია. განა საჭიროა იმის ახსნა, თუ რას ნიშნავს სპორტი საბჭოთა კავშირში, ჩვენს რესპუბლიკაში!

ამ თამაშის მიმზიდველობას ბევრ რამეში ვხედავ: ესაა ტირაჟების უჩვეულო ფორმულა, სიზუსტე და ოპერატიულობა, ესაა მოგების, დიდი მოგების საკმაოდ დიდი ალბათობა. ესაა ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ მოთამაშის ბედი ამა თუ იმ ტირაჟში თვით მასზეა დამოკიდებული. მე, მაგალითად, ჩემი სისტემა მაქვს, რომლის მიხედვითაც ყოველ ტირაჟში ვავსებ „სპორტლოტო-2-ის" 26 ბარათს. „სპორტლოტო-2" უფრო მეტად მომწონს, ვინაიდან მონაწილე ერთდროულად თამაშობს ორ ტირაჟში. მე მარტო „ექვსიანი" კი არ გამოვიცანი, არამედ შევძელი ათ ბარათზე ერთი „ოთხიანისა" და ცხრა „სამიანის" გამოცნობა".

გ. კალმახელიძე,

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს საორგანიზაციო-სარეკლამო განყოფილების უფროსის მოადგილე.

ლენტეხში უყვართ ჭიდაობა

თვითონაც ვერ გეტყვიან, რატომ უყვართ ასე ძლიერ ჭიდაობა. იქნებ მამა-პაპათა ტრადიციებისადმი უსაზღვრო სიყვარული განაპირობებს ყოველივე ამას. ასეა თუ ისე, უტყუარი ფაქტი გახლავთ: ლენტეხის რაიონში ბევრი ცნობილი ფალავანი აღიზარდა.

ძიუდოისტთა ამასწინანდელ საკავშირო ჩემპიონატში (რიგა) მაღალმთიან სოფელ ცანაში აღზრდილმა ჯიბილო ნიჟარაძემ აბსოლუტური ფალავნობა და ოქროს მედალი მოიპოვა, რითაც მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი სსრ კავშირის ნაკრებში.

წარმატებას წარმატება ზე აღწევს ჯიბილოს თანამემამულე დილარი ხაბულიანი, იგი სსრ კავშირის ახალგაზრდული თამაშების ორგზის ჩემპიონია ძიუდოში.

ლენტეხელ ფალავნებს, სპორტის ოსტატებს გ. ქურასბედიანს, ა. გელოვანს, გ. ონიანს, ა. და ო. ზურაბიანებს არაერთხელ მოუპოვებიათ რესპუბლიკაში უძლიერესის სახელი.

უფროსების ნაკვალევზე მიდიან ლენტეხელი მოსწავლეებიც. წლეულს მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში თავისებური ბენეფისი იყო აქაური ფალავნების თ. ლიპარტელიანისა და უ. გასვიანისთვის.

კარგი შედეგები აქვთ ლენტეხელებს გუნდურ შეჯიბრებაშიც. შარშან აქ „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ზონალური პირველობა ჩატარდა ქართულ ჭიდაობაში. სარბიელზე დასავლეთ საქართველოს 8 რაიონისა და აფხაზეთის ნაკრები გუნდები გამოვიდნენ. ლენტეხელმა ფალავნებმა ტრიუმფით დაამთავრეს შეჯიბრება — რვავე წონით კატეგორიაში აჯობეს ყველას.

წლეულს რაიონის კულტურის სახლში ჩატარდა საქართველოს პირადგუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. წარმატება ამჯერად აშკარა იყო. ლენტეხელებმა გაუსწრეს ისეთ გამოცდილ მეტოქეებს, როგორიც არიან ახმეტელი ფალავნები, და თბილისელების შემდეგ II ადგილი დაიკავეს.

ამ გამარჯვებებში გარკვეული წვლილი მიუძღვის „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარეს ნ. ქურასბედიანს, რომელიც, ამავე დროს, მოჭიდავეების მწვრთნელიცაა. იგი საქმის მცოდნეა და ახალგაზრდების დიდი მოამაგე. ჩვენთან საუბარში მან განაცხადა, რომ კვლავ დიდ ყურადღებას დაუთმობს ქართულ ჭიდაობას, ვინაიდან იგი ყველა სხვა ჭიდაობის საფუძვლად მიაჩნია. შემდეგ კი „უცხო ენაზე" საუბარსაც არ მოერიდებიან (მას მხედველობაში ჰქონდა ძიუდო), მაგრამ ამისთვის აუცილებელია ერთი ნორმალური საჭიდაო დარბაზის აშენება.

ი. იმერლიშვილი,

სპორტის ოსტატი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ლენტეხი.

XXVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

21 და 22 სექტემბერს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

ცსკა — „ტორპედო" 1:0. გოლი 74-ე წუთზე გაიტანა კოპეიკინმა.

„დინამო" (მოსკოვი) — „არარატი" 2:3. ეს მატჩი ძალიან წააგავდა ამავე გუნდების პირველი წრის შეხვედრას, როცა ერევნელები მარცხდებოდნენ ანგარიშით 0:2 და იხსნეს წაგებული თამაში. მაგრამ თუ მაშინ ისინი მხოლოდ ქულას დასჯერდნენ, ახლა დამსახურებულად გაიმარჯვეს. ანგარიში 43-ე წუთზე გახსნა პავლენკომ, 53-ე წუთზე კი პეტრუშინმა მეორე გოლი გაიტანა სტუმრების კარში. „არარატმა" ფარხმალი არ დაყარა, 67-ე წუთზე ზანაზანიანმა გაქვითა პირველი გოლი, 5 წუთის შემდეგ ანდრეასიანმა — მეორე, ხოლო უკვე მაშინ, როცა მატჩის დასასრულს 2 წუთი აკლდა, იშტოიანის დარტყმამ მესამედ მიაღწია მიზანს.

„დინამო" (კიევი) — „კარპატი" 1:1. ლიდერი აგებდა მატჩს (გოლი გაიტანა სავკამ) და მხოლოდ „კარპატის" კარში დანიშნულმა პენალტმა კიეველები წაგებისგან იხსნა (კოლოტოვი).

„დნეპრი" — „ჩერნომორეცი" 1:1. დაწინაურდნენ ოდესელები, რომელთა მხრივ ბურთი კვლავ ყველაზე აგრესიულმა ნახევარმცველმა მაკაროვმა გაიტანა, მაგრამ პორკუიანის ზუსტი დარტყმის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა.

„ზარია" — „ფახთაქორი" 1:1.

„ნისტრუ"—„სპარტაკი" 1:0. გოლი მე-15 წუთზე გაიტანა ხლოპოტნოვმა.

„შახტიორი" — „ქაირათი" 5:2.

I ლიგა

20 სექტემბერს შემდგარი მატჩები ასე დამთავრდა: „ზვეზდა" (პერმი)—„კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 2:2, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 1:1, „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 0:1, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „დინამო" (მინსკი) 0:0, „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:1, „ნეფთჩი" (ბაქო) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 5:1, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 3:1, „პამირი" (დუშანბე) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომ."	30	17	6	7	54—26	40
„დინამო"	30	16	7	7	41—28	39
„ნეფთჩი"	30	15	8	7	40—22	38
„კრ. სოვ."	30	15	7	8	49—32	37
ასკ	31	14	9	8	43—28	37
„ტავრია"	30	15	5	10	55—38	35
„კუზბასი"	29	15	4	10	38—35	34
„ტორპედო"	30	12	9	9	29—31	33
„სპარტაკი" (ნალჩ.)	31	9	13	9	28—30	31
„შინიკი"	30	10	10	10	38—38	30
„მეტალურგი" (ზაპ.)	30	10	9	11	32—36	29
„ზვეზდა"	30	10	8	12	41—49	28
„ურალმაში"	30	10	8	12	30—38	28
„სპარტაკი" (ორჯ.)	31	12	4	15	34—50	28
„პამირი"	28	7	11	10	34—33	25
„სპარტაკი" (ივ.-ფრ.)	31	6	13	12	28—35	25
„სტროით."	30	8	8	14	30—40	24
„მეტალურგი" (ლიპ.)	30	7	9	14	28—38	23
„ყუბანი"	31	7	9	15	44—63	23
„ტექსტილ."	30	4	7	19	27—53	15

ფეხბურთი

კლუბს 2 ქულა

ლენინგრადი. კიროვის სახელობის სტადიონი. 22 სექტემბერი.

„ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი) 1:2 (0:0).

„ზენიტი": ვოლოშინი, დერიომოვი, ლოხოვი, ტრემბაჩი, ბულავინი, სადირინი, სტრეპეტოვი, ვიუნი, ხრომჩენკოვი (უიგუნოვი), ზინჩენკო (ნიკოლაევი), კაზაჩონოკი.

„დინამო": გოგია, ძოძუაშვილი (მჭედლიშვილი), ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. მაჩაიძე, ესებუა.

მსაჯი კ. ვიხროვი (კიევი).

გაფრთხილებული არიან ვიუნი, ებრალიძე.

დუბლიორები — 3:2.

3 ტურის წინ ლენინგრადის „ზენიტს" შესანიშნავად ჰქონდა საქმე: იგი სამართლიანად ითვლებოდა ერთ-ერთი საპრიზო ადგილის რეალურ კანდიდატად და წარმატებით იბრძოდა ამ საპატიო მიზნის მისაღწევად. მაგრამ ბოლო სამ ტურში გუნდის საქმეები მკვეთრად გაუარესდა: ზენიტელებმა 2 მატჩი წააგეს, 1 ფრედ დაამთავრეს და ერთბაშად 5 ქულის დაკარგვამ მათ წინაშე ახალი პრობლემები წამოჭრა. ამ პრობლემებიდან ერთ-ერთი პირველი იყო მატჩი თბილისის „დინამოსთან".

მთელი მონდომებით და ენერგიით უნდა ებრძოლათ თბილისელებსაც, ვინაიდან, მთელი გათამაშების მსვლელობისას განცდილ წარუმატებლობათა მიუხედავად, მათ მაინც აქვთ შანსი მნიშვნელოვნად გამოისწორონ სატურნირო მდგომარეობა.

მიუხედავად იმ დაძაბული სიტუაციისა, რომელიც მატჩს უძღოდა, თამაში დუნედ დაიწყო და არც ერთი მხარე არ ცდილა ინიციატივის მოპოვებას. „ზენიტის" იერიშებს საკმაოდ იოლად უმკლავდებოდნენ დინამოელთა მცველები, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხურცილავა. იყო ერთი მომენტი, როცა სტრეპეტოვ—ტრემბაჩის კომბინაციას უძლიერესი დარტყმა მოჰყვა, მაგრამ თავი გამოიჩინა გოგიამ, რომელმაც თითქმის უიმედო ბურთისგან იხსნა გუნდი.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა გამოაცოცხლეს თამაში. განსაკუთრებით გააქტიურდა გუცაევი, რომლის მიმართ მასპინძლები ხშირად მიმართავდნენ აკრძალულ ხერხებს. თამაში ახალი განახლებული იყო, როცა გუცაევთან ბრძოლისას დერიომოვმა ბურთის გადაცემა სცადა მეკარისთვის, მაგრამ ეს უზუსტოდ გააკეთა, თბილისელმა კი არ დააყოვნა და შეუფერხებლად გახსნა ანგარიში.

ლენინგრადელებმა ყველა ზომას მიმართეს მდგომარეობის გამოსასწორებლად, 58-ე წუთზე კუთხურიდან კარგად გაითამაშეს ბურთი, რომელიც სტრეპეტოვმა უძლიერესი დარტყმით გაგზავნა კარის ბადეში, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. დინამოელები კარგად მოქმედებდნენ კონტრიერიშებისას და რამდენიმეჯერ სახიფათო მომენტიც შექმნეს.

88-ე წუთზე გუცაევი გაექცა „ზენიტის" მცველებს და პირისპირ გადიოდა მეკარესთან, როცა უხეშად წააქციეს. პენალტი. იგი ზუსტად გამოიყენა ჭელიძემ და თბილისელებმა უაღრესად საჭირო 2 ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში.

(ტელეფონით).

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კ)	23	11	10	2	35—13	32
„ჩერნომ."	23	9	9	5	31—25	27
„ტორპედო"	23	10	6	7	28—21	26
„შახტიორი"	23	8	10	5	30—24	26
„სპარტაკი"	23	9	8	6	22—19	26
„დინამო" (მ.)	23	8	9	6	34—24	25
„ზენიტი"	23	6	13	4	27—29	25
„არარატი"	22	8	7	7	24—20	23
„დნეპრი"	23	7	9	7	19—24	23
„ქაირათი"	22	6	8	8	31—33	20
„ფახთაქორი"	22	6	8	8	32—35	20
ცსკა	23	6	8	9	24—28	20
„დინ." (თბ.)	23	5	10	8	18—28	20
„ზარია"	23	5	8	10	24—36	18
„კარპატი"	20	3	10	7	17—21	16
„ნისტრუ"	23	4	7	12	27—43	15

II ლიგა ზონა

21 სექტემბერი. „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:1, „კოლხეთი" (ფოთი) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:0, „დინამო" (კიროვაბადი)—„ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:1, „ფოლადი" (სუმგაითი) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:1, „ლორი" (კიროვაკანი) — „დილა" (გორი) 0:1, „შირაკი" (ლენინაკანი)—„დინამო" (ბათუმი) 1:1, „დინამო" (ბრიანსკი) — „ხიმიკი" (ძერჟინსკი) 2:0, „ურალანი" (ელისტა) — „დინამო" (ვოლოგდა) 0:1, „დინამო" (სტავროპოლი) — „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) 4:2.

ახალი ამბები-74

● ზაპოროჟიე, 22 სექტემბერი. დღეს აქ დამთავრდა ხელბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. გაიმარჯვა 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა — საბჭოთა ნაკრებმა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 15:7 (7:3) დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი — იუგოსლავიის ეროვნული გუნდი. საბჭოთა ხელბურთელებმა დაუმარცხებლად ჩაატარეს ტურნირი და 10 ქულა დააგროვეს 10-დან. II ადგილზე გავიდა გდრ-ის ნაკრები (8 ქულა), რომელმაც წინადღეს ასევე სძლია მსოფლიო ჩემპიონს. III ადგილი დაიკავა იუგოსლავიის გუნდმა (6 ქულა). მომდევნო ადგილებზე არიან სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები, გფრ-ის კოლექტივი და ბულგარეთის ეროვნული გუნდი. ზაპოროჟიეს საწარმოთა მიერ დაწესებული სპეციალური პრიზები გადაეცათ: ტრადიციული ტურნირის დებიუტანტს — ბულგარეთის გუნდს, ყველაზე ახალგაზრდა ხელბურთელს — ლ. კარლოვას (სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები), ყველაზე შედეგიან სპორტსმენს — ლ. ავრამს (სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები, 34 ბურთი), სსრ კავშირის ნაკრების მოთამაშე ზ. ტურჩინას — უცხოეთის გუნდების კარში გატანილი ნეორასე გოლისთვის.

● ბერლინი, 22 სექტემბერი. სსრ კავშირის ჟურნალისტთა ნაკრებმა გერის ოლქში (გდრ) გამართულ IX ტრადიციულ პრეს-ავტორალიში გუნდურ ჩათვლაში III ადგილი დაიკავა. შეჯიბრება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 25-ე წლისთავს მიეძღვნა. მასპინძლებმა ეს თარიღი კარგად აღნიშნეს: გაიმარჯვეს როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში. II ადგილზე არიან პოლონელი ჟურნალისტები.

● ჰალე, 23 სექტემბერი. აქ გრძელდება ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 16 ცნობილი დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობს. 8 ტურის შემდეგ ლიდერობენ კნააკი (გდრ) — 6,5 ქულა, ტალი (სსრ კავშირი) — 6, სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია) — 5,5, ულმანი (გდრ) — 4,5.

ანგარიში გათანაბრდა

ვინიპეგი, 22 სექტემბერი. შაბათს ადგილობრივი „არენის" ყინულის სარბიელზე გამართულ მესამე მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 8:5 (1:1, 3:1, 4:3) დაამარცხა ჰოკეის მსოფლიო ასოციაციის პროფესიონალთა გუნდი „კანადა-74". ამრიგად, „სერიის" ანგარიში გათანაბრდა — 3:3, თითო მოგება და ფრე (შაიბების საერთო ბალანსიც კი ერთნაირია — 12:12).

საკდესის კორესპონდენტებთან საუბარში კანადის ნაკრების თავდამსხმელმა რალფ ბექსტრემმა განაცხადა:

— პრესა და სკეპტიკოსი-გულშემატკივრები საბჭოთა ჰოკეისტებთან შეხვედრების წინ არ მოგვესმარენ: მათ ჩვენი — ვეტერანების იმედი მაინცდამაინც არ ჰქონდათ. ჩვენ კი ამ სკეპტიკოსების ჯიბრზე მატჩებისთვის მზადების პერიოდში თავი არ დაგვიზოგავს. ამავე დროს, აგრესიულად სათამაშოდ განვეწყვეთ.

რაც შეეხება გამოცდილებას, ჰოკეიში ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უყურებ გორდი ჰოუს, ფრენკ მაჰოვლიჩს, ბობი ჰალს და გული გწყდება, რომ ასე ადრე დატოვეს ყინული ძმებმა მაიოროვებმა, ფირსოვმა, კონოვალენკომ, დავიდოვმა, სტარშინოვმა, რაგულინმა და ბევრმა სხვა შესანიშნავმა საბჭოთა ჰოკეისტმა.

— ჰოკეის მსოფლიო ასოციაციის ნაკრების თამაშმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, — მოჰყავს ფილ ესპოზიტოს სიტყვები გაზეთ „გლობ ენდ მეილს". — მაგრამ ამჯერად, ჩემი აზრით, კანადელთა მეტოქეები ისე ძლიერად არ თამაშობენ, როგორც ამ ორი წლის წინათ თამაშობდნენ.

კანადის ნაკრების მწვრთნელის ბილ ჰარისის კონსულტანტმა (არის ასეთიც!), საბჭოთა ჰოკეის მოყვარულთათვის კარგად ცნობილმა იხგე ჰამერსტრიომმა, შვეციის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ, ახლა კი „ტორონტო მეიპლ ლიფსის" თავდამსხმელმა, პირველი ორი მატჩის შემდეგ თქვა, კანადელებმა 4 შესაძლებლიდან 3 ქულა იმიტომ მოაგროვეს, რომ ორივე სტადიონზე ცუდი ყინული იყო.

— ყინული „არენაზეც" ცოტათი რბილი იყო, მაგრამ კვებეკისა და ტორონტოს ყინულს მაინც სჯობდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ვინიპეგში მოედანი ოდნავ უფრო განიერია.

... მესამე მატჩში სარბიელზე გამოვიდნენ ტრეტიაკი, ვასილიევი — გუსევი, მიხაილოვი — პეტროვი — ხარლამოვი, ლიაპკინი — ციგანკოვი, ლებედევი — შადრინი — იაკუშევი, ლუტჩენკო — კუზნეცოვი, მალცევი — ანისინი — ბოდუნოვი.

თავიდანვე ვიტყვით, რომ ლებედევი კარგად „მოერგო" შადრინის „ხუთეულს", ხოლო ანისინის „კვინტეტში" მალცევის გადაყვანამ ასევე მოიტანა სარგებლობა.

კანადელებს აკლდათ გ. ჰოუ, ფ. მაჰოვლიჩი, ჩივერსი, სელვუდი. ისინი შეცვალეს ტარდიფმა, ჰემელტონმა, მარტი ჰოუმ, მაკლეოდმა. არბიტრი ჩეხოსლოვაკიელი ვ. დომბროვსკი იყო, რომელმაც, საყოველთაო აზრით, კარგად ჩაატარა შეხვედრა.

კანადელებმა 34-ჯერ ტყორცნეს შაიბა კარში, საბჭოთა ჰოკეისტებმა — 39-ჯერ. მასპინძლებს 6 მცირე ჯარიმა ჰქონდათ, სტუმრებს — 5.

ორთაბრძოლის დებიუტი კანადელთა უპირატესობით წარიმართა. კარგი სტარტის შემდეგ ფსიქოლოგიური უპირატესობა მათ მხარეს იყო. თანაც, მე-7 წუთზე მალცევმა ბულიტი ვერ გამოიყენა.

მე-15 წუთზე, როცა მასპინძლებს კაცი აკლდათ, 1972 წლის „სერიის" ერთ-ერთმა გმირმა ჰენდერსონმა კარგად გადასცა შაიბა მაკგრეგორს, რომელმაც გახსნა კიდეც ანგარიში. შესვენებამდე იაკუშევმა (იგი და ჰენდერსონი მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს) ზუსტი, მოულოდნელი დარტყმით საპასუხო გოლი გაიტანა.

განახლდა თუ არა თამაში, სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანმა მიხაილოვმა პეტროვის კარგი გადაცემა გამოიყენა და დააწინაურა თავისი გუნდი. მალე კანადელებმა კონტრიერიში განახორციელეს და უებსტერმა კვლავ აღადგინა თახაფარდობა.

იგრძნობოდა, რომ „ნეკერჩხლის ფოთლებს" სულ უფრო და უფრო უჭირდათ მსოფლიო ჩემპიონებთან გამკლავება, რომლებმაც ქარიშხლისებური ტემპი განავითარეს. საბჭოთა მწვრთნელი ბ. კულაგინი კი სულ დაჟინებით მოითხოვდა: „უფრო სწრაფად, უფრო სწრაფად, საჭიროა თვალსაჩინო დაწინაურება".

მეორე პერიოდის ბოლომდე დიდი დრო არ იყო დარჩენილი, როცა 17 წამის განმავლობაში შაიბა ორჯერ აღმოჩნდა მაკლეოდის კარში. ჯერ თავი გამოიჩინა პეტროვმა, მერე კი ყველამ „ნავსის გატეხა" მიულოცა მალცევს. ეს იყო მისი პირველი გოლი კანადის ნაკრებთან 11 მატჩში! ვიმედოვნებთ, რომ ალექსანდრეს საქმეები შემდგომში უკეთესად წავა.

მესამე პერიოდში საბჭოთა ჰოკეისტები მდგომარეობის სრული ბატონპატრონი იყვნენ. შადრინმა, ბოდუნოვმა და იაკუშევმა ანგარიში პირდაპირ გამანადგურებელი გახადეს — 7:2!

და აი, აქ საბჭოთა ჰოკეისტები მოეშვნენ, რაც ყოვლად დაუშვებელია კანადელებთან ასპარეზობისას. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებით სახიფათოა ჰენდერსონი. მან ეს ჯერ კიდევ ორი წლის წინათ დაამტკიცა. ტორონტოში, ჰოკეის დიდების მუზეუმში ახლაც დგას მაკეტი, რომელიც ამ ფორვარდის მიერ გატანილ გამარჯვების შაიბას გვიჩვენებს 1972 წლის „სერიის" მერვე მატჩში და მთელს ამ „სერიაში".

55-ე და 56-ე წუთებზე ჰენდერსონმა ორჯერ აიღო ტრეტიაკის კარი. აქვე კიდევ ერთი შაიბა გაიტანა ბერნიემ და ანგარიში გახდა 5:7.

მაინც, სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვებაში ჩვენ დარწმუნებული ვიყავით. და მაინც მერვე გოლი, რომელიც ლებედევმა მარჯვენა ფლანგზე ლაღი „კავალერიის" გარღვევის შედეგად გაიტანა, ძალიან საჭირო იყო, ვინაიდან მასპინძლებს საფინალო სირენამდე არ უნდოდათ წაგებასთან შეგუება. როცა 59-ე წუთზე მოედნიდან ლუტჩენკო გააძევეს, მათ მეკარე თავდამსხმელით შეცვალეს და მასპინძელთა მთელი ექვსეული თავბრუმდახვევ იერიშზე გადავიდა...

— თავდამსხმელებმა თავი მაღლა აწიეს, მხოლოდ შაიბას აღარ ჩაკირკიტებდნენ და გოლებიც წამოვიდა, — ასე შეაჯამა შეჯიბრების შედეგი ვ. პეტროვმა.

გვსურდა კი გაგვეგო, არის თუ არა მცველთა თამაშის გაუმჯობესების ასეთივე „რეცეპტი"? დაგვეთანხმეთ: ხუთი შაიბა საბჭოთა ნაკრების კარში ერთობ ბევრია.

— ვინიპეგში მატჩის წინ ჩემს ბიჭებს ვუთხარი, დროა თამაში დავიწყოთ-მეთქი,—ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად თქვა პრესკონფერენციაზე ბ. კულაგინმა.

ბ. ჰარისი კი ჟურნალისტებთან საუბარში ერთობ სერიოზული გახლდათ.

— ხუთ დღეში სამი მატჩი ჩვენთვის მეტისმეტია, მით უმეტეს, რომ ფიზიკურ მომზადებაში საბჭოთა ჰოკეისტებს კანადელებთან შედარებით კვლავინდებურად აქვთ უპირატესობა. იმედს არ ვკარგავ, მაგრამ ისევ მსურს გავახსენოთ, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე საბჭოთა ჰოკეი არნახული ტემპით განვითარდა და კიდევ ხუთ წელიწადში კანადელებმა თუ რაიმე არ იღონეს, ძალიან ჩამორჩებით.

საბჭოთა გუნდში იაკუშევის გარდა საჭიროა გამოვყოთ მიხაილოვი, პეტროვი, შადრინი, მალცევი, ლებედევი. ისე კი, კაცმა რომ თქვას, სსრ კავშირის ნაკრების ყველა ჰოკეისტი „ნეკერჩხლის ფოთლებთან" თაძაბული. მაგრამ უაღრესად საინტერესო მატჩების ეშხში შევიდა.

ვ. დვორცოვი,
ი. მირონოვი.
(საკდესის სპეც. კორ.).

• • •

სურათზე: წლევანდელი „სერიის" პირველი მატჩი (3:3). შაიბა — კანადელთა კარში. მარცხნიდან — ვ. პეტროვი, ბ. მიხაილოვი, ყინულზე — მ. ტარდიფი (ცენტრში) და მეკარე ჯ. ჩივერსი.

იუპი — საკდესის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლელოს" პრიზზე

როგორც ცნობილია, კიროვის პარკის მოედანზე დაიწყო თბილისის უბნების პირველობა მინი-ფეხბურთში გაზეთ „ლელოს" პრიზზე. გაგაცნობთ შეჯიბრების პირველი ორი დღის შედეგებს: „ლოკომოტივი" — „რუსთაველი" 4:2, „გელათი" — ბაქოს ქუჩა 3:7, „ვერა" — „ვარაზი" 4:1, „თბილისი" — „საბურთალო" 2:4, „შაშვი" — „ტელესტუდია" 4:2, „დიდუბე" — „სალხინო" 2:5, „ნაკადული" — „ჭაშნიკი" 2:1, სვანეთის უბანი — „ვარაზი" 2:4, მეღვინეობა-მებაღეობა-მეხილეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (მმმსსი) — „ლოკომოტივი" 2:3, „საქართველო" — „შაშვი" 6:1, „ვაკე" — „დარიალი" 8:1, „იბერია" — ბაქოს ქ. 11:2, „ჭაშნიკი" — „გელათი" 2:3, „გელათი" — „იბერია" 1:1, „თბილისი" — „რუსთაველი" 5:2, „ვერა" — „დარიალი" 4:1, „ვაკე" — სვანეთის უბანი 1:3, „საქართველო" — „დიდუბე" 9:2, მმმსსი — „რუსთაველი" 6:1, „ნაკადული" — ბაქოს ქ. 9:2, „ვარაზი" — „დარიალი" 2:0, „საბურთალო" — „ლოკომოტივი" 2:0...

* * *

სურათზე: „ვერისა" და „ვარაზის" შეხვედრის მომენტი.
მ. ზარგარიანის ფოტო.

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

კარპოვი — კორჩნოი 1:0 (2 ყაიმი)

მოსკოვი, 22 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მატჩის IV პარტიაში კორჩნოიმ (შავებით) ფრანგული დაცვა გაითამაშა. ეს დაცვა მდიდარ კონტრთამაშს შეიცავს. კარპოვმა არჩევანი კლასიკურ ვარიანტზე შეაჩერა. ამ სისტემით მას რამდენიმე შეხვედრა მოუგია.

მალე დაფაზე შეიქმნა კარგად ცნობილი პოზიცია, რომელშიც შავებს განმხოლოებული პაიკი აქვთ. მსგავს მდგომარეობაში თეთრები ენდშპილისკენ მიილტვიან. ისინი პაიკის დამცველ ფიგურებს ცვლიან, რომ შერე დალაშქრონ იგი. კორჩნოი არ შეუშინდა პოზიციის გამარტივებას. მარჯვე თამაშით 27-ე სვლისთვის ისეთი ენდშპილი მიიღო, რომელშიც მისი ეტლი, მხედარი და პაიკები წარმატებით დაუპირისპირდნენ კარპოვის ეტლს, კუსა და პაიკებს.

შემდგომში კარპოვი პასიურად თამაშობდა და თანდათან ინიციატივას კორჩნოი დაეუფლა. მან მოგების შანსიც მიიღო. კარპოვის ფიგურებმა დაკარგეს ურთიერთდაზღვევის შესაძლებლობა. 42-ე სვლაზე პარტია ამ პოზიციაში გადაიდო:

კორჩნოი



კარპოვი

კორჩნოიმ ჩაიწერა თავისი 42-ე სვლა.

გთავაზობთ მატჩის III პარტიას, რომელიც 20-21 სექტემბერს გათამაშდა.

კორჩნოი — კარპოვი

ინგლისური დასაწყისი

1. c4 მf6 2. მc3 e6 3. მf3 b6 4. e4 კb7 5. ლe2 კb4 6. e5 მg8 7. d4 მe7 8. კd2 0—0 9. 0—0—0 d5 10. h4 კ:c3 11. კ:c3 dc 12. ლ:c4 კa6 13. ლa4 კ:f1 14. ეh:f1 ლd5 15. მფb1 a5 16. ლc2 h6 17. ეfe1 მa6 18. ლe4 ეfd8 19. ლ:d5 ე:d5 20. ეd2 ეad8 21. ეed1 h5 22. მფc2 მf5 23. g3 f6 24. ef gf 25. მg1 მe7 26. მe2 მg6 27. ეd3 მb4+ 28. კ:b4 ab 29. a3 ba 30. ე:a3 ე8d7 31. ეe1 მფf7 32. ეd3 ეf5 33. f3 c5 34. f4 მe7 35. dc ე:c5+ 36. მc3 ეdc7 37. მფd2 მf5 38. ეa1 ეc4 39. ეa6 b5 40. b3 ეb4 41. მe2 მფe7 42. ეa8 ეd7 43. ე:d7+ მფ:d7 44. ეh8 ე:b3 (ჩაწერილი სვლა) 45. ე:h5 მ:g3 46. მ:g3 ე:g3 47. ე:b5 f5 48. მფe2 ეg4 49. მფf3 ე:h4 50. ეb6 ეh1 51. ეa6 ეc1 52. მფg3 ეc4 53. მფf3 ეc3+ 54. მფf2 ეc6 55. ეa1 ეc4 56. მფf3 მფd6 57. ეe1 ეc3+. ყაიმი.

ყველა მეტოქეს სძლიეს

მედელინში (კოლუმბია) ქალთა VI საჭადრაკო ოლიმპიადაში დამთავრდა ნახევარფინალური ტურნირები. სსრ კავშირის გუნდმა (ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ი. ლევიტინა) ყველა მეტოქე (კოლუმბია, კანადა, ავსტრია, პუერტო-რიკო) ერთნაირი ანგარიშით — 2:0 დაამარცხა და 8 ქულა დააგროვა.

წინაა ფინალური ტურნირი. მასში მონაწილეობას მიიღებენ ნახევარფინალებში I-II ადგილებზე გასული გუნდები: სსრ კავშირი, კანადა, რუმინეთი, ჰოლანდია, უნგრეთი, ინგლისი, იუგოსლავია, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

9 45

◆ მედელინი (კოლუმბია), 23 სექტემბერი. მოჭადრაკე ქალთა აქ მიმდინარე მსოფლიო ოლიმპიადის ფინალური ტურნირის I ტურში საუკეთესო შედეგს მიაღწია რუმინეთის ნაკრებმა, რომელმაც ანგარიშით 2:0 სძლია კანადის გუნდს. სსრ კავშირის წარმომადგენლები ჰოლანდიელებს შეხვდნენ. ნ. გაფრინდაშვილმა გადადო პარტია კ. ვრეკენთან, ხოლო ე. ბელმა დაამარცხა ნ. ალექსანდრია. დღეს, II ტურში, საბჭოთა გუნდი ბულგარეთის ნაკრებს ეთამაშება.

მხოლოდ სვეშნიკოვმა მოიგო

დიდი რუსი მოჭადრაკის მ. ჩიგორინის X მემორიალის (სოჭი) XI ტურში მხოლოდ ახალგაზრდა ე. სვეშნიკოვმა გაიმარჯვა: მან ი. ანიკაევს (ორივე — სსრ კავშირი) სძლია. დანარჩენი შვიდი პარტია: ა. სუეტინი (სსრ კავშირი) — ა. შნაპიკი (პოლონეთი), ვ. იანსა (ჩეხოსლოვაკია) — რ. ხოლმოვი (სსრ კავშირი), ლ. ესპიგი (გდრ) — ვ. ცეშკოვსკი, ნ. რაშკოვსკი (ორივე — სსრ კავშირი) — გ. ფორინტოში (უნგრეთი), კ. რობაჩი (ავსტრია) — ვ. ანტოშინი, ლ. პოლუგაევსკი — ვ. სმისლოვი (საშივე — სსრ კავშირი), ხ. ვესტერინენი (ფინეთი) — ს. გარსია (კუბა) ყაიმით დამთავრდა.

11 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ლ. პოლუგაევსკი — 8,5 ქულა, ა. სუეტინი, რ. ხოლმოვი — 7-7, ვ. სმისლოვი — 6,5, ვ. ცეშკოვსკი, ვ. იანსა — 6-6.

ჩემპიონები, აუტსაიდერები, ლიდერები

ინგლისი

შაბათს „იფსვიჩ თაუნმა" თავის მინდორზე ლონდონის „ჩელსის" სძლია — 2:0.

ჩემპიონმა „ლიდს იუნაიტედმა" ერთობ ცუდი დებიუტის შემდეგ (იგი ბოლოდან V ადგილზე იყო) შინ დაამარცხა „შეფილდ იუნაიტედი" — 5:1. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს კლარკმა (2), იორატმა, ლორიმერმა და კუინმა.

თასის მფლობელმა „ლივერპულმა" ასევე შინ მოუგო „სტოკ სიტის" — 3:0. ჯერ სტუმართა მცველმა რიჩიმ ბურთი საკუთარ კარში გაიტანა, ხოლო შემდეგ ლივერპულელებმა ჰეიუეიმ და ბერსმამ ანგარიში გაზარდეს.

ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა" სტუმრად სძლია „ვულვერჰემპტონ უონდერერსს" — 3:2. ანგარიში ლონდონელმა პიტერსმა გახსნა, რაზეც „მგლებმა" 2 გოლით უპასუხეს, მაგრამ შემდგომში „მამლების" ცენტრფორვარდმა ჩივერსმა 2 ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში.

VIII ტურის 11 შეხვედრაში 40 გოლი გავიდა — ეს ჯერჯერობით ყველაზე შედეგიანი ტურია.

აი, ლიდერებიც:

	თ.	ბ.	ქ.
„იფსვიჩ თაუნი"	8	15:4	14
„ლივერპული"	8	17:6	13
„მანჩესტერ სიტი"	8	13:11	11

II ლიგაში (და საერთოდ ინგლისის ოთხივე ლიგაში) ჯერჯერობით ერთადერთი გუნდი, რომელსაც თამაში არ წაუგია, „მანჩესტერ იუნაიტედი" ჯახლავთ.

შოტლანდია

„გლაზგო რეინჯერსმა" თავის მინდორზე მოუგო „დამბარტონს" — 3:2. გლაზგოს „სელტიკმა" სტუმრად სძლია „მადერუელს" — 2:1. აღსანიშნავია, რომ ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, მაგრამ გლაზგოელთა ვეტერანმა ლენოქსმა 2 (ორივე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით) გოლი გაიტანა.

„გლაზგო რეინჯერსი"	4	9:6	7
„სელტიკი"	3	12:5	6
„ჰიბერნიენი"	4	8:4	6

გდრ

საინტერესოდ წარიმართა მატჩი ლაიპციგში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი" და ოდერის ფრანკფურტის „ფორვერტსი". პირველი ტაიმი მასპინძლებმა მოიგეს — 3:1. მათს გამარჯვებაში ეჭვი თითქმის არავის ეპარებოდა, მაგრამ ფრანკფურტელებმა მწვავე იერიშები განახორციელეს და საბოლოოდ მოიგეს კიდეც თამაში — 5:4. ბოლო, საბედისწერო ბურთი 86-ე წუთზე საკუთარ კარში გაიტანა „ლოკომოტივის" მცველმა სეკორამ. სტუმართა თავდამსხმელმა ანდრიკმა ჰეთ-თრიკი გააკეთა.

„მაგდებურგი"	5	18:3	9
„კარლ ცაისი" (იენა)	5	9:3	9
„ჰემი" (ჰალე)	4	10:4	6

გფრ

მიუნხენის „ბაიერნმა" შინ ანგარიშით 6:3 მოუგო „კიოლნს" და ლიდერობა შეინარჩუნა. მიუნხენელთაგან თითო ბურთი ბეკენბაუერმა და მიულერმა გაიტანეს. ეს მატჩი ბეკენბაუერისთვის მე-300 იყო ბუნდესლიგაში, ხოლო მიულერის ეს გოლი 259-ე იყო ჩემპიონატებში, მაგრამ პირველი — ამ სეზონში.

მაინის ფრანკფურტის „აინტრახტმა" დასავლეთ ბერლინში სძლია I ლიგის დებიუტანტს — ადგილობრივ „ტების ბორუსიას" — 3:1.

მენჰენგლადბახის „ბორუსიამ" სტუმრად აჯობა „კაიზერსლაუტერნს" — 3:1. I ლიგაში დაბრუნებულმა ბრაუნშვაიგის „აინტრახტმა" ესენში დაამარცხა ადგილობრივი „როტ-ვაისი" — 2:1.

„ბაიერნი"	4	8.3	7
„აინტრახტი" (ბრაუნშვაიგი)	4	11:4	6
„ფორტუნა" (დიუსელდორფი)	4	11:5	6

საფრანგეთი

გათამაშების VIII ტურის ცენტრალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „სტად რეიმსი" და ნიმის „ოლიმპიკი". გაიმარჯვა ლიდერმა „სტად რეიმსმა" — 2:1.

I ლიგის დებიუტანტმა — ლილის „ოლიმპიკმა" შინ სძლია (2:0) „მონაკოს" და II ადგილზე გადაინაცვლა.

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „სენტ-ეტიენმა" სტუმრად ქულა დაკარგა „სოშოსთან" (1:1) და XIV ადგილზეა.

„სტად რეიმსი"	8	21:12	14
„ოლიმპიკი" (ლილი)	8	14:8	11
„ბასტია"	8	10:5	11

ჰოლანდია

მორიგ ტურში ამსტერდამის „აიაქსმა" საკუთარ მინდორზე მოუგო I ლიგის დებიუტანტ „ვაგენინგენს" — 3:1. თასის მფლობელმა „ფშვ ეინდჰოვენმა" როტერდამში სძლია ადგილობრივ „სპარტას" — 2:1.

როტერდამის „ფეიენოორდმა" სტუმრად დაამარცხა დევენტერის „გო ეჰედი" — 6:0.

„აიაქსი"	3	9:2	6
„ფშვ ეინდჰოვენი"	3	8:4	6
„ფეიენოორდი"	3	12:3	4
„ტვენტე"	3	5:1	4

ქალებიც კი...

ორი ვენუელი რეპორტიორი დაინტერესდა იმით, თუ რაზე ლაპარაკობენ იტალიელები შეხვედრისას. ყოველ შემხვედრს რეპორტიორები ერთი და იმავე შეკითხვით მიმართავდნენ: „რაზე ლაპარაკობდით ამ წუთის?"

გამოირკვა, რომ პირველ ადგილზეა საკვები პროდუქტების ფასები, ეკონომიური მდგომარეობა და სპორტი.

შემდეგ ადამიანებს აწუხებთ პირადი და ოჯახური პირობები. ამინდი იტალიელთა საუბრის თემას არ წარმოადგენს, ალბათ იმიტომ, რომ მზე უხვად აფრქვევს სხივებს ამ ქვეყანას.

პოპულარულია საუბარი იმდღევანდელ ამბებზე, სამუშაოზე, ლატარიაზე. ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა მოდა, თუმცა გამოკითხულთა 41 პროცენტს ქალები შეადგენდნენ.

უცხოეთის ფეხბურთის ახალი ამბები

პორტუგალია

ლისაბონის „ბენფიკამ" მორიგ ტურშიც გაიმარჯვა სტუმრად „სპორტინგ ფარენსესთან" (4:0) და გათამაშების ცხრილს ლიდერობს. ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — ლისაბონის „სპორტინგმა" წინა ტურში მარცხის შემდეგ შინ მოუგო კოიმბრის „აკადემიკას" — 1:0.

„ბენფიკა"	2	8:0	4
„პორტუ"	2	4:1	4
„ვიტორია" (გიმარაიში)	2	6:2	2

შვეცია

თასის მფლობელმა და გათამაშების ლიდერმა „მალმიომ" თავის მინდორზე მოუგო I ლიგის დებიუტანტს — ვევლეს „ბრიუნესს" — 6:0.

„მალმიო"	19	33:10	32
აიკ (სტოკჰოლმი)	19	31:16	27
„ატვიდაბერგი"	19	35:27	22

უნგრეთი

5 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია:

„ჰონვედი" (ბუდაპეშტი)	5	13:4	9
„უიპეშტ დოჟა" (ბუდაპეშტი)	4	12.6	8
„ფერენცვაროში" (ბუდაპეშტი)	5	8.6	6

პოლონეთი

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — ხორჟუვის „რუხმა" შინ აჯობა პოზნანის „ლეხს" — 2:0. მელეცის „სტალმა" სტუმრად მოუგო ბიტომის „პოლონიას" — 1:0.

„სტალი"	4	6:2	8
„ვისლა" (კრაკოვი)	5	6:2	7
„რუხი"	4	9:3	6

ჩეხოსლოვაკია

ბრატისლავის „ინტერმა" თავის მინდორზე უჩვეულო ანგარიშით (7:4) მოუგო პრაღის „სპარტას".

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — ბრატისლავის „სლოვანმა" ოსტრავაში ფრედ ითამაშა „ბანიკთან" — 1:1.

„დუკლა" (პრაღა)	6	11:5	9
„სლოვანი"	7	14:5	9
„კოშიცე"	7	19:19	8

საკუთარი ინფორმაცია

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 14136